არათავაზიანობა როგორც ძალაუფლების მოპოვების პრაგმატიკული სტრატეგია ინგლისურენოვან სატელევიზიო პოლიტიკურ ინტერვიუებში

მარიამ მარდალეიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ანგლისტიკის ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

უცხო ენათა ფილოლოგიისა (ანგლისტიკა, გერმანული ფილოლოფა, რომანული ფილოლოგია) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: რეზო მარსაგიშვილი,
პროფესორი, ფილოლოგიის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ მარდალეიშვილი 23.06.21

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისას გაწეული დახმარებისთვის, მსურს, მადლობა გადავუხადო ჩემს ხელმძღანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, რეზო მარსაგიშვილს, რომლის ლექციებით გაღვივებული ინტერესისა და მიღებული ცოდნის, რჩევებისა და კომენტარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჩემი სამაგისტრო ნაშრომის განვითარება და დასრულება.

ასევე, მინდა, მადლობა ვუთხრა ჩემი ოჯახის წევრებსა და მეგობრებს, რომლებიც გაგებით ეკიდებოდნენ და მამხნევებდნენ კვლევითი მუშაობის განმავლობაში.

აბსტრაქტი

პოლიტიკური ინტერვიუ ტელერადიო ჟურნალისტიკისა და პოლიტიკური კომუნიკაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც მზარდი აგრესიულობითა და არათავაზიანი მეტყველებით ხასიათდება. ამის მიზეზად, მედია ენის მკვლევრები, სხვა მიზეზებს შორის, ასახელებენ, ერთი მხრივ, სატელევიზო არხების მაყურებელთათვის მიმზიდველ ფორმატზე ორიენტირებას, ხოლო მეორე მხრივ, ჟურნალისტებსა და პოლიტიკოსებს შორის ძალაუფლების მოპოვებისათვის მიმდინარე ფარულ ბრძოლას, რომელსაც ახლავს არათავაზიანი ინტერაქცია. სწორედ ინგლისურენოვან პოლიტიკურ ინტერვიუებში ძალაუფლების განხორციელების მიზნით გამოყენებულ არათვაზიანობის სტრატეგიებს შეისწავლის წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი. ნაშრომში დასმულია ორი საკვლევი კითხვა: არათავაზიანობის რომელ სტრატეგიებს იყენებენ ჟურნალისტები პოლიტიკურ ინტერვიუში ძალაუფლების განხორციელების მიზნით? და როგორ ვლინდება კავშირი ჟურნალისტების მიერ გამოყენებულ არათავაზიანობის სტრატეგიებსა და ძალაუფლების განხორციელებას შორის?

კველვის თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძველია დერეკ ბაზფილდის, ჯონათან ქალფერისა და თომას ვარტენბერგის თეორიები.

შვიდი პოლიტიკური ინტერვიუს ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ძალაუფლების განხორციელების მიზნით ჟურნალისტები მიმართავენ: არათავაზიანობის პირდაპირ, დადებითი, უარყოფითი არათავზიანობის სტრატეგიებსა და სარკაზმს. არ გამოვლინდა ირიბი არათავაზიანობისა და თავაზიანობისგან თავის შეკავების სტრატეგიების გამოყენება. ჟურნალისტების მიერ ძალაუფლების განხორციელება გამოვლინდა რესპოდენტის სამოქმედო სივრცის შეზღუდვით, რაც გამოიხატა ჟურნალისტის მხრიდან რესპოდენტის სახეზე თავდასხმით არათავაზიანობის სტრატეგიების გამოყენებით, რესპოდენტის მიერ პასუხის გაცემისას საკუთარი სახისადმი მუქარით, ჟურნალისტის მიერ რესპოდენტის პასუხის შინაარსისა და ფორმის გაკონტროლებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: არათავაზიანობა, არათავაზიანობის სტრატეგიები, ძალაუფლება, ძალაუფლების განხორციელება, სახეზე მუქარის აქტი.

Abstract

Political interview occupies an important place in broadcast journalism and political communication. It is characterized by growing aggression and impolite communication, which is explained by media language researchers, on the one hand, by TV and radio channels being more focused on formats more attractive to a wider audience and, on the other hand, by the hidden power struggle between journalists and politicians, accompanied by impolite interaction. This master thesis examines impoliteness strategies used by journalists to exercise power in English-language political interviews by answering the following research questions: Which impolite strategies do journalists use to exercise power in a political interview? How is the connection between the impolite strategies used by journalists and the exercise of power revealed? To this purpose, the qualitative approach has been employed, namely, 7 English (4 British and 3 American channels) political interviews have been analyzed. In the analyzed texts impoliteness cases were identified according to Bousefild's (2008) definition which sees impoliteness as the unmitigated intentional face-threatening act performed by the speaker and understood by the receiver. Identified cases were grouped according to Culpeper's (1996) impoliteness strategies and output strategies. To reveal the exercise of power through the use of impoliteness strategies, Wartenbergs' (1990) approach was taken that the exercise of power is revealed through the strategic constraining of action environment.

The analysis has revealed that journalists exercise power through the use of various impoliteness strategies: bold-on-record, positive and negative impoliteness strategies and sarcasm. Cases of withheld politeness and off-record impoliteness were not revealed. The exercise of power by journalists was manifested by the restriction of the respondent's action environment.

Key words: Impoliteness, impoliteness strategies, power, the exercise of power, face threatening act.